

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**აკადემიური საბჭო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,  
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87  
ელ. ფოსტა: [info@bsu.edu.ge](mailto:info@bsu.edu.ge)

**დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა №124**

**2014 წლის 26 სექტემბერი,**  
**ქ. ბათუმი**

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე  
სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ  
მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 05 სექტემბრის № 4 გადაწყვეტილებიდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების რეორგანიზაციიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 12 სექტემბრის № 71 დადგენილება და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 9 თებერვლის №17 დადგენილება და დაწესდეს ახალი სახელობითი სტიპენდიები ფაკულტეტებზე

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ტურიზმის ფაკულტეტის (№40, 19.09.2014), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (№3, 23.10.2014) საბჭოს სხდომათა ოქმების ამონაწერებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, პროფ. ვლადიმერ ღლონტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდეს სახელობითი სტიპენდიები დანართი 1-ის, ხოლო აუდიტორიებს მიენიჭოთ გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელები დანართი 2-ის შესაბამისად“;

2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 12 სექტემბრის №71 და „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 12 სექტემბრის №71 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2012 წლის 9 თებერვლის №17 დადგენილებები;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,**  
**პროფესორი**

**დავით ბარათაშვილი**

**ბსუ-ს სახელობითი (საფაკულტეტო) სტიპენდიები:**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

- 1) პროფ. როლანდ კომახიძის სახელობის;
- 2) პროფ. დავით ხახუტაიშვილის სახელობის;
- 3) პროფ. აბელ სურგულაძის სახელობის;
- 4) სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი**

- 1) აკად. მემედ კომახიძის სახელობის;
- 2) დოც. ვლადიმერ ქემხაძის სახელობის;
- 3) დოც. ოთარ ახვლედიანის სახელობის.

**ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი**

- 1) აკად. დურსუნ ბალაძის სახელობის;
- 2) ხუსეინ ხალვაშის სახელობის;
- 3) სილოვან დადუნაშვილის სახელობის;
- 4) გულო ალა კაიკაციშვილის სახელობის.

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

- 1) პროფ. ვახტანგ პაპუნაძის სახელობის;
- 2) პროფ. ვალერიან მელქაძის სახელობის;
- 3) პროფესორ გივი გამსახურდიას სახელობის.

**იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

- 1) პროფ. სერგო ჯორბენაძის სახელობის;
- 2) ტბელ აბუსელიძის სახელობის.

**ტექნოლოგიური ფაკულტეტი**

- 1) ნიკო ნიკოლაძის სახელობის;
- 2) აკად. ლევან ყანჩაველის სახელობის.

**ტურიზმის ფაკულტეტი**

- 1) ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის;
- 2) ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის.

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებს  
მიენიჭოთ გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელები:**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
№21 აუდიტორია - პროფ. დავით ხახუტაიშვილის სახელობის.  
№42 აუდიტორია – მიხეილ სტამბოლიშვილის სახელობის.  
№43 აუდიტორია – ვახტანგ შამილაძის სახელობის.  
№45 აუდიტორია – აბელ სურგულაძის სახელობის.  
№52 აუდიტორია - პროფ. ფერიდე აცამბას სახელობის *(შევიდა დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 ოქტომბრის N99 დადგენილებით).*
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი  
№133 აუდიტორია - პროფ. ალექსანდრე ნოლაიდელის სახელობის.  
№334 აუდიტორია - პროფ. ნადიმ ნიჭარაძის სახელობის.  
№№509 და 511 აუდიტორიები – პროფ. ხუსეინ ხალვაშის სახელობის.  
იმუნოგენეტიკის ლაბორატორია - ემერიტუს ანზორ დიასამიძის სახელობის  
*(შევიდა დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 ოქტომბრის N99 დადგენილებით).*
3. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
№223 აუდიტორია- პროფ. შოთა ქემხაძის სახელობის;  
№212 აუდიტორია - აკად. გიორგი ჭოლოშვილის სახელობის.  
№227 აუდიტორია - ალექსანდრე ბერაძის სახელობის.
4. განათლების ფაკულტეტი  
№111 აუდიტორია - პროფ. ალექსანდრე გობრონიძის სახელობის.
5. იურიდიული ფაკულტეტი
6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
№434 აუდიტორია - აკად. დიმიტრი უზნაძის სახელობის;  
№535 აუდიტორია - პროფ. სერგო ჯორბენაძის სახელობის.
8. ტექნოლოგიური ფაკულტეტი  
1) №414 აუდიტორია - ილიას დარბაზი.  
2) №208 ლაბორატორია - პროფ. კობა უსტიაშვილის სახელობის.  
3) №410 აუდიტორია - აკად. მამია გოგოლიშვილის სახელობის.
9. ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. №35-ში მდებარე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას  
ეწოდოს ილია ჭავჭავაძის სახელი;
10. №55-ე აუდიტორიას ეწოდოს შოთა რუსთაველის სახელი;
11. №238-ე აუდიტორიას ეწოდოს ტბელ აბუსერისძის სახელი.